ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№56

(გაერთიანებული, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიასთან)

ქ. თბილისი; 24 იანვარი, 2020 წ. 11 : 00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
თინათინ ნიბლოშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ნინო რუხაძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ქეთევან მამულაშვილი
ავთანდილ ცინცაძე
ლილე ლიპარტელიანი

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგებელი - ზექა მიქაუტაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი - გელა ჩივიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი - სერგო ბირკაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - ვასილ აბულაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი - ირაკლი თავართქილაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - ჯუმბერ ყანდარელი

სხდომის თავმჯდომარე:

**ლევან ქორქოლიანი**
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

2. “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

3. “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

4. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის წესდების (დებულების) დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20 88 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

5. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 მარტის №5-18 დადგენილების“ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

7. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების ტიპური დებულებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

9. „ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის #42-33 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

10. „ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის #10-14 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

11. “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტები.

14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის მიერ სამშენებლო საქმიანობის განხორციელებისას სამშენებლო დოკუმენტაციის წარმოებისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

15. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით და $125^2$ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

16. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

17. „2016 წლის 13 მაისს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის Nე-308-26-19647 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით რიგი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ (ს/კ 202886788) მიერ მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

19. „ქალაქ თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირი №42-ის მიმდებარედ არსებული 3 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.15.05.008.037) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „უორვიკშირ ესთეითის საქართველოს წარმომადგენლობისთვის“ (ს/ნ:204535654) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგებელმა - ბექა მიქაუტაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

როგორც ბატონმა ბექამ განმარტა, წარმოდგენილი დადგენილების პროექტით მტკიცდება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი“. აღნიშნული წესი განსაზღვრავს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში დანგრეული ან საცხოვრებლად გამოუსადეგარი სახლების მაცხოვრებელთა, ასევე, უსახლკაროდ დარჩენილ მოქალაქეთა აუცილებელი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისათვის საცხოვრებელი ფართით სარგებლობის ქირის კომპენსაციის პირობებს, პროცედურებს და კომპენსაციის მიმღებ პირთა წრეს.

საკითხის წარმომდგენმა ასევე განმარტა, რომ ქვეპროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს, შესაბამისი რაიონული გამგეობები, საკონსულტაციო-სათათბირო ორგანოს - საბჭოს მეშვეობით, რომელიც განიხილავს კომპენსაციის მიღების თაობაზე, გამგეობაში შესულ განცხადებებს, შეისწავლის წარდგენილ დოკუმენტაციას და ადგენს შემოწმების ოქმს. ამასთან, საკითხის შესწავლის შემდეგ საბჭოს ხელმძღვანელის მიერ გამგებლის სახელზე შედგენილი მოხსენებითი ბარათისა და წარდგენილი მასალების გათვალისწინებით, გამგებელი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას, კომპენსაციის გაცემის თაობაზე განცხადების დაკმაყოფილებაზე ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

მომხსენებლის თქმით, წარმოდგენილი წესის თანახმად, კომპენსაცია გაიცემა არაუმეტეს 2020 წლის საბიუჯეტო წლის ბოლომდე. განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში, გამგებელი უფლებამოსილია, 300 (სამასი) ლარის ფარგლებში, თავად მიიღოს გადაწყვეტილება თითოეულ დაზარალებულ ოჯახზე კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებით, ხოლო, 300 (სამასი) ლარზე მეტი ოდენობის კომპენსაციის შემთხვევაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის თანხმობის საფუძველზე.

დასასრულს, გლდანის რაიონის გამგებელმა აღნიშნა, რომ დადგენილება დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდება 2020 წლის პირველი იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე. ამასთან, დადგენილების მიღება გამოიწვევს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N35-119 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრის ლილე ლიპარტელიანის თქმით, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს მზრუნველობამოკლებულ, სრულწლოვანებას მიღწეულ

პირებს, რომელთაც დატოვეს თავშესაფარი და მათი ბინის ქირით უზრუნველყოფა უნდა მოხდეს უპირატესად სხვა კატეგორიის უსახლკაროდ დარჩენილ პირებთან შედარებით. იქვე დაამატა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით იყო მსჯელობა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიაში და გადაწყვეტილება კვლავ მიღებული არ არის.

ბექა მიქაუტაძემ განმარტა, რომ აღნიშნულ პირთა ბინის ქირით უზრუნველყოფა დღესაც ხდება არსებული წესის ფარგლებში და გაგრძელდება 2020 წელსაც, ყველა მომართვის განხილვა და დაკმაყოფილება ხდება არსებული რესურსის ფარგლებში და ამ დრომდე პრობლემა სამართლებრივი და პრაქტიკული კუთხით დაფიქსირებული არ არის.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალიურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მუდმივად აქვს კომისიას კომუნიკაცია გამგეობებთან. კომისიასა ან/და გამგეობებში პრობლემის დაფიქსირების შემთხვევაში აუცილებლად მოხდება შესაბამისი ცვლილებების მომზადება და განხორციელება.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, მიზანშეწონილია, დადგენილების პროექტის პირველ და მე-2 მუხლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის დასახელების ნაწილში დაშვებული ხარვეზი გამოსწორდეს, ამოღებულ იქნას სიტყვა „საცხოვრებელი“ და მითითებული მუხლები ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით. ამასთან, სასურველია, დადგენილების პროექტის მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები გაერთიანდეს და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა - გელა ჩივიაშვილმა, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტით მტკიცდება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესები, კერძოდ:

- „დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესი.

- „გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“.
- „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“.
- „C ჰეპატიტის დიაგნოსტიკის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“.
- „ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“.
- „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“.
- „ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ .

საკითხის წარმომდგენმა დეტალურად ისაუბრა წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულ ძირითად საკითხებზე და განმარტა, რომ:

- დადგენილების პროექტის პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით მტკიცდება, „დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“. წესის თანახმად, ქვეპროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების განმახორციელებლად შესაძლებელია დარეგისტრირდნენ მიმწოდებლები, რომლებიც აკმაყოფილებენ ამავე წესით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს, ხოლო ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის პილოტით გათვალისწინებული მომსახურების განმახორციელებელად რეგისტრაცია შეუძლიათ მხოლოდ 2019 წელს მიმწოდებლად რეგისტრირებულ დაწესებულებებს. გარდა ამისა, ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, პროსტატისა და კოლორექტული კიბოს სკრინინგის კომპონენტებით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებელი, იმ კომპონენტების ფარგლებში, რომელთა მომსახურებასაც ახორციელებს, ვალდებულია ყოველთვიურად მომსახურება გაუწიოს ჯამურად არანაკლებ 50 (ორმოცდაათი) მოსარგებლეს, ხოლო ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის პილოტით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია ყოველთვიურად მომსახურება გაუწიოს არაუმეტეს 150 (ას ორმოცდაათი) მოსარგებლეს.

- პროექტის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით მტკიცდება „გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“, რომელიც განსაზღვრავს ქვეპროგრამის განხორციელების პირობებსა და პროცედურებს. ქვეპროგრამის მოსარგებელეები არიან როგორც საქართველოს მოქალაქეები, ასევე საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირები.

- დადგენილების პროექტის პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტით მტკიცდება „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“, რომელიც განსაზღვრავს ქვეპროგრამით მოსარგეებლეების წრეს, ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობას, წესის მე-5 მუხლი ადგენს

ქვეპროგრამაში მოსარგებლეთა ჩართვისა და ვაუჩერის გაუქმების პირობებს, ასევე განსაზღვრავს მიმწოდებელ დაწესებულებაში ვაკანტური ადგილის გაჩენისას პირის მიღების პროცედურას. ამასთან, დადგენილების პროექტით წარმოდგენილი აღნიშნული წესის **მე-9 მუხლი** განსაზღვრავს, რომ მიმწოდებელს უნდა ჰყავდეს ქცევითი თერაპევტი (10 მოსარგებლეზე არანაკლებ 1 თერაპევტი. ამასთან, თუ ქცევითი თერაპევტი წარმოადგენს სხვადასხვა მიმწოდებლის მიერ დასაქმებულს, მას ჯამში ქვეპროგრამის ფარგლებში უნდა ჰყავდეს 10 მოსარგებლე), რომელიც არის ბავშვის ქცევითი აშლილობების მართვის უნარ-ჩვევების მქონე დიპლომირებული სპეციალისტი ფსიქოლოგიაში ან მომიჯნავე სპეციალობაში და გავლილი აქვს გამოყენებითი ქცევითი ანალიზის ბაზისური მომზადების საერთაშორისო ან/და ადგილობრივი კურსი. გარდა ამისა მიმწოდებელს უნდა ჰყავდეს, სულ მცირე, ერთი ქცევითი თერაპევტი (სუპერვაიზერი), რომელსაც აქვს გამოყენებითი ქცევითი ანალიზის საერთაშორისო სერტიფიკატი და არ უნდა წარმოადგენდეს სხვა მიმწოდებლის მიერ დასაქმებულს.

- ❖ **პროექტის პირველი მუხლის „დ" ქვეპუნქტით მტკიცდება „C ჰეპატიტის დიაგნოსტიკის ქვეპროგრამის განხორციელების წესი"**, რომელიც განსაზღვრავს ქვეპროგრამის „C ჰეპატიტის დიაგნოსტიკა" განხორციელების პირობებსა და პროცედურებს. ქვეპროგრამით მოსარგებლეების წრეს, ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობას. აკონკრეტებს, რომ მომსახურების მიმწოდებლად განისაზღვრება პირი რომელიც ამავე დროს არის „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის" მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულება, ეთანხმება ვაუჩერის პირობებს და წერილობით დაადასტურებს ქვეპროგრამაში მონაწილეობის სურვილს.

- ❖ დადგენილების პროექტის პირველი მუხლის „ე" ქვეპუნქტით მტკიცდება, **„ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი". წესის მე-4 მუხლი განსაზღვრავს,** რომ ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელი საქართველოს ფარგლებს გარეთ არის პირი, საიდანაც მოსარგებლე ქვეპროგრამის განმახორციელებელს წარმოუდგენს მომსახურების დაფინანსებისათვის ანგარიშ-ფაქტურას. ხოლო საქართველოს ფარგლებს შიგნით - პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ დამტკიცებულ სარეგისტრაციო განაცხადით ეთანხმება ვაუჩერის პირობებს, გამოთქვამს ქვეპროგრამის ფარგლებში მონაწილეობის სურვილს და წერილობით, დადგენილი წესით დაუდასტურებს ქვეპროგრამის განმახორციელებელს ქვეპროგრამაში მონაწილეობის სურვილს, და საიდანაც მოსარგებლე ქვეპროგრამის განმახორციელებელს წარმოუდგენს მომსახურების დაფინანსებისათვის ანგარიშ-ფაქტურას, ხოლო ღვიძლის ტრანსპლანტაციის კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელია პირი რომელიც აკმაყოფილებს ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ დამტკიცებულ სარეგისტრაციო განაცხადით ეთანხმება ვაუჩერის პირობებს, გამოთქვამს ქვეპროგრამის ფარგლებში მონაწილეობის სურვილს

და წერილობით, დადგენილი წესით დაუდასტურებს ქვეპროგრამის განმახორციელებელს ქვეპროგრამაში მონაწილეობის სურვილს და საიდანაც მოსარგებლე ქვეპროგრამის განმახორციელებელს წარმოუდგენს მომსახურების დაფინანსებისათვის ანგარიშ-ფაქტურას.

❖ დადგენილების პროექტის პირველი მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით მტკიცდება, „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“, წესის თანახმად, სოციალურად დაუცველი ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს, მედიკამენტი უფინანსდებათ სრულად, თანაგადახდის გარეშე, ხოლო ყველა სხვა მოსარგებლეს მედიკამენტი უფინანსდება ამ წესით დადგენილი ტარიფების გათვალისწინებით მედიკამენტის ღირებულების ლიმიტის 80%-ის მოცულობით, გარდა მედიკამენტი „ტრასტუზუმაბისა“, რომლის შემთხვევაში მედიკამენტი მოსარგებლეს უფინანსდება მედიკამენტის ღირებულების ლიმიტის 50%-ის მოცულობით. ხოლო, თუ ქვეპროგრამით მოსარგებლე, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირს მკურნალობის დასრულებამდე შეუმცირდა სარეიტინგო ქულა, მკურნალობა გრძელდება ცვლილების შესაბამისად. წესი ასევე ადგენს, რომ 2019 წელს მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრირებული დაწესებულებისათვის აღნიშნული სტატუსი ავტომატურად გაგრძელდება 2020 წელს, გარდა მიმწოდებლის შერჩევის კრიტერიუმებში არსებითი ცვლილებების შეტანის შემთხვევებისა.

❖ დადგენილების პროექტის პირველი მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით მტკიცდება, „ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“, რომელიც განსაზღვრავს ქვეპროგრამით მოსარგებლეების წრეს, ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობას. წესის თანახმად, ქვეპროგრამის დაფინანსება ხორციელდება ქვეპროგრამის ასიგნებების ფარგლებში არამატერიალიზებული ფორმის ვაუჩერის მეშვეობით. მომსახურების მიმწოდებელს უნდა გააჩნდეს ქვეპროგრამით განსაზღვრული ყველა მომსახურების განხორციელების, სულ მცირე, ორწლიანი გამოცდილება, გარდა ამისა, მიმწოდებელი უნდა აკმაყოფილებდეს წესით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს.

როგორც საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, ქვეპროგრამების, (გარდა, პროექტის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დასამტკიცებელი „გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“,) განმახორციელებლების მიერ მიმწოდებელთათვის დადგენილი პირობების შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებლებს ეკრძალება ქვეპროგრამაში ჩართვა, დადგენილი პირობების უხეში დარღვევის გამოვლენის შესახებ შესაბამისი დასკვნიდან 1 წლის განმავლობაში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ასევე ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №35-118 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

დასასრულს, ბატონმა გელამ განმარტა, რომ აღნიშნული ქვეპროგრამების დაფინანსება გათვალისწინებულია 2020 წლის ბიუჯეტით, ხოლო წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გავრცელდება 2020 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტით ხდება, ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების გადამტკიცება, იდენტურად 2019 წლის წესებისა, გარდა უკვე გაჟღერებული ცვლილებებისა.

გელა ჩივიაშვილმა ითხოვა წარმოდგენილ პროექტში ცვლილების განხორციელება, კერძოდ: „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესის" მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში, ქვეპროგრამის ფარგლებში თვეში დასაფინანსებელი არაუმეტეს 1000 (ათასი) ბენეფიციარის რაოდენობის, 1230-მდე გაზრდა.

კომისიის წევრები დაეთანხმნენ საკითხის წარმდგენის წინადადებას ცვლილების განხორციელების თაობაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და ზემოაღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა - გელა ჩივიაშვილმა, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან ფინანსური სახსრები გამოყოფილ იქნა სოციალური დაცვის ქვეპროგრამებისათვის, რომელთა განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული და წარმოდგენილ იქნა დადგენილების პროექტი, რომლის პირველი მუხლი ითვალისწინებს, აღნიშნული ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცებას, შესაბამისი დანართების სახით, კერძოდ:

1. „ა" ქვეპუნქტის სახით წარმოდგენილი „სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარების" ქვეპროგრამის განხორციელების წესი" მტკიცდება დანართი N1-ის სახით და ითვალისწინებს, „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" ქალაქ თბილისში რეგისტრირებული ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს, განსაზღვრული წესის შესაბამისად, ერთჯერადი დახმარების გაცემას, ყოველი ახალშობილის დაბადებისას - 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. აღნიშნული დახმარების მიმღები ქვეპროგრამის მოსარგებლე ოჯახი, მე-3 ან შემდეგი შვილის შეძენის

შემთხვევაში, მოიპოვებს უფლებას მიიღოს დამატებით ერთჯერადი დახმარება, შემდეგი ოდენობით:

ა) მე-3 ახალშობილზე-300 (სამასი) ლარი; ბ) მე-4 ახალშობლზე-500 (ხუთასი) ლარი; გ) მე-5 და შემდეგ ახალშობილზე- 1000 (ათასი) ლარი.

2. „ბ“ ქვეპუნქტის სახით წარმოდგენილი „100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ მტკიცდება დანართი N2-ის სახით და ითვალისწინებს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 წლის და მეტი ასაკის პირების, ასევე 100 წლის და მეტი ასაკის იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირების, რომლებსაც რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი თბილისი დაფინანსებას - ფულადი დახმარება განისაზღვრება 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

3. „გ“ ქვეპუნქტის სახით წარმოდგენილი „სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი, მტკიცდება დანართი N3-ის სახით და ითვალისწინებს, „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ არაუმეტეს 70 000 ქულის მქონე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახებისთვის, 3 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე, ფულადი დახმარების გაცემას 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

4 „დ“ ქვეპუნქტის სახით წარმოდგენილი, „სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი, მტკიცდება დანართი N4-ის სახით, რაც ითვალისწინებს, „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ არაუმეტეს 150 000 სარეიტინგო ქულის მქონე, ქალაქ თბილისში რეგისტრირებულ ოჯახებში მცხოვრები, „სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების“ ქვეპროგრამის ფარგლებში, 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჯამურად წელიწადში 800 (რვაასი) ლარით დახმარებას.

ბატონმა გელამ იქვე დასძინა, რომ დანართი N4-ის სახით ასევე მტკიცდება, „დ“ ქვეპუნქტის სახით წარმოდგენილი, „სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი, რაც ითვალისწინებს, მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირების დახმარებას - ჯამურად წელიწადში 900 (ცხრაასი) ლარით.

5. „ე“ ქვეპუნქტის სახით წარმოდგენილი „უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში“ და „უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში“ ქვეპროგრამების განხორციელების წესი“ მტკიცდება დანართი N5-ის სახით და ითვალისწინებს, „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ არაუმეტეს 70 000 ქულის მქონე, ქალაქ თბილისში რეგისტრირებული 18 წლამდე ასაკის პირების, „უფასო სწავლება მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში“ ქვეპროგრამის ფარგლებში, სწავლის დაფინანსებას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლესა“ და ა(ა)იპ „ქ. თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში“, ხოლო, „უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში“ ქვეპროგრამის ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფორმით

დაფუძნებულ, მოცემული წესით განსაზღვრულ, ხელოვნების სკოლებში (ჯამურად 32 სკოლა). აღნიშნულ სახელოვნებო სკოლებში მოსწავლეთა თვიური ლიმიტი წარმოადგენს 2 633 (ორი ათას ექვსას ოცდაცამეტს);

6. „ვ“ ქვეპუნქტის სახით წარმოდგენილი, „უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში” ქვეპროგრამის ფარგლებში სოციალურად დაუცველი მოსწავლეების საცურაო აუზებში სწავლების დაფინანსების წესი“ მტკიცდება დანართი N6-ის სახით და ითვალისწინებს, 70 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე, ქალაქ თბილისში რეგისტრირებული 18 წლამდე ასაკის პირების, პროგრამაში ჩართვის შემდგომ, კვალიფიციური მწვრთნელის საშუალებით, აუზზე ცურვის, მინიმუმ 45 წუთიანი ხანგრძლივობის გაკვეთილების დაფინანსებას. გაკვეთილების ერთი სრული კურსის ხანგრძლივობა შეადგენს სამ თვეს, თვეში 12 გაკვეთილს. ქვეპროგრამის ფარგლებში ხდება არაუმეტეს 700 (შვიდასი) ბენეფიციარის დაფინანსება.

7. „ზ“ ქვეპუნქტის სახით წარმოდგენილი, „შინმოვლის თანადაფინანსების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ მტკიცდება დანართი N7-ის სახით და ითვალისწინებს, 200 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე, ქ. თბილისში რეგისტრირებული ოჯახის წევრისათვის, რომლის „უძლურების შეფასების „ბართელის კითხვარით“ მინიჭებული ქულა არ აღემატება 95 ერთეულს, შინმოვლის თანადაფინანსების უზრუნველყოფას.

საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ ზემომითითებული ქვეპროგრამების განმახორციელებელს წარმოადგენს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის საქალაქო სამსახური, ამასთან, უწყვეტი მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისი ქვეპროგრამებისათვის მიზნებისათვის 2019 წელს მიმწოდებლად და/ან შემფასებლად რეგისტრირებულ პირს/ორგანიზაციას აღნიშნული სტატუსი ავტომატურად უგრძელდება 2020 წელს, თუმცა, განმახორციელებელი იტოვებს უფლებამოსილებას, ქვეპროგრამაში ჩართულ მიმწოდებელს მოსთხოვოს კრიტერიუმების დაკმაყოფილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

დასასრულს ბატონმა გელამ აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტი დამტკიცების შემთხვევაში, გამოიწვევს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის 35-117 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებას. ამასთან, დადგენილება გავრცელდება 2020 წლის პირველი იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის მოსაზრებით, მიზანშეწონილია, დადგენილების პროექტის პრეამბულაში, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლი და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N51-104 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტი ზოგადი მითითების ნაცვლად, წარმოდგენილ იქნას უფრო კონკრეტული სახით.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, დადგენილების პროექტის პრეამბულა მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

თავმჯდომარემ, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიმართ ასევე გამოთქვა შემდეგი სახის შენიშვნები:

1.დანართი N1-ის სახით წარმოდგენილ წესში მიზანშეწონილია:

ა) მე-3 მუხლის პირველ პუნქტში ნაცვლად სიტყვისა „რეგისტრირდება" მიეთითოს სიტყვა - რეგისტრირებულია";

ბ) ამავე მუხლის მე-2 პუნქტში, სიტყვა „ფიქსირდება" სასურველია შეიცვალოს სიტყვით "რეგისტრირებულია";

2. დანართი N5-ის სახით წარმოდგენილ წესში, მე-6 მუხლის მე-4 პუნქტში მიზანშეწონილია, გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი და აღნიშნული პუნქტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

3. დანართი 6-ის სახით მითითებულ წესში მიზანშეწონილია, მე-10 მუხლის „ბ" ქვეპუნქტში ამოღებულ იქნას სიტყვა „ყოლა" და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4. დანართი 7-ის სახით მითითებულ წესში მიზანშეწონილია,

ა) მე-5 მუხლის მე-3 პუნქტში, სიტყვების „ამავე მუხლის პირველი პუნქტით" ნაცვლად, მიეთითოს სიტყვები „მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით", ვინაიდან ამ უკანასკნელი პუნქტითაა გასახაზღვრული არამატერიალიზებული ვაუჩერი.

ბ) მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტიდან ამოღებულ იქნას სიტყვა „ყოლა" შეიცვალოს სიტყვით „არსებობა" და აღნიშნული პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) მრავალდარგობრივი გუნდის არსებობა შემდეგი შემადგენლობით: ყოველ 101-მდე პაციენტზე უნდა შედიოდეს არანაკლებ 1 კოორდინატორი, 1 ექიმი, 1 სოციალური მუშაკი, 2 ექთანი, 1 საყოფაცხოვრებო ასისტენტი/ექთნის თანაშემწე და 1 ტექნიკური ასისტენტი".

საკითხის წარმომდგენი დაეთანხმა მითითებულ შენიშვნებს.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებთ მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა - სერგო ბირკაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის წესდების (დებულების) დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30

დეკემბრის №20-88 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ბატონი სერგოს თქმით, კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებებიდან ამოღებულ იქნა გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფის უფლებამოსილება და მიეკუთვნება, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრს, რომელიც ჩაითვალა სსიპ – სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის უფლებამონაცვლედ ყველა სახის ურთიერთობაში.

ბატონმა სერგომ აღნიშნა, რომ სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი უკვე შეუდგა მასზე დაკისრებული უფლებამოსილებების განხორციელებას, მათ შორის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-88 დადგენილების ძალაში დატოვების საფუძველი აღარ არსებობს.

აზრი გამოთქვეს:

ლილე ლიპარტელიანმა სასწრაფო სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის უფლებამოსილების ცენტრალური ხელისუფლებისთვის გადაცემა არასწორად მიიჩნია, მით უფრო, როცა ქვეყანას მიმართულება აქვს აღებული მაქსიმალური დეცენტრალიზაციისაკენ.

ქალბატონი ლილემ აღნიშნა, რომ დეცენტრალიზაციის სტრატეგიის გათვალისწინებით, თვითმმართველობის კიდევ უფრო განვითარების მიზნით, აღნიშნული უფლებამოსილება უნდა გადაეცეს თვითმმართველობებს, მათ შორის რეგიონების დონეზე, რაც სასწრაფო სამედიცინო მომსახურებას გახდის მეტად მოქნილსა და გამართულს.

სერგო ბირკაძის თქმით, დღეის მდგომარეობით, რეგიონებში სასწრაფო სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებაშია. მათი მუშაობა კი საკმაოდ გამართულია. მისივე თქმით, აღნიშნული უფლებამოსილების ცენტრალიზაცია ემსახურება სასწრაფო სამედიცინო დახმარების სერვისის კიდევ უფრო გაძლიერებას.

კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ აღნიშნული უფლებამოსილების ცენტრალური ხელისუფლებისთვის გადაცემა არ ეწინააღმდეგება დეცენტრალიზაციის სტრატეგიას. მისივე თქმით, დეცანტრალიზაციის სტრატეგიის მიხედვით განისაზღვრება თვითმმართველობებზე გადასაცემი ახალი უფლებამოსილებები, თუმცა კონკრეტული უფლებამოსილებების რეგიონებისთვის გადაცემა და მათი ეფექტური აღსრულება მოითხოვს თვითმმართველობების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამასთან მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აღსრულების ეფექტურობისათვის უმჯობესია სხვა მუნიციპალიტეტების მსგავსად აღნიშნული უფლებამოსილების ცენტრალიზაცია.

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია დადგენილების სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ემუხლის მე-2 პუნქტი და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი პუნქტი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტს მხარი არ დაუჭირა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა - სერგო ბირკაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 მარტის №5 18 დადგენილების“ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ბატონი სერგოს თქმით, ვინაიდან, გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფის უფლებამოსილება მიუერთდა, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრს, რომელიც უკვე შეუდგა მასზე დაკისრებული უფლებამოსილებების განხორციელებას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მსგავსად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-88 დადგენილებისა, საკრებულოს 2015 წლის 17 მარტის №5-18 დადგენილების ძალაში დატოვების საფუძველი აღარ არსებობს.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია დადგენილების სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ემუხლის მე-2 პუნქტი და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი პუნქტი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტს მხარი არ დაუჭირა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

**მომხსენებლის** განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შემუშავებულ იქნა, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული რეგულაციების აღსრულების მიზნით და ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გამგეობებში, შრომის უსაფრთხოების მართვასა და უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სუბიექტის განსაზღვრას. კერძოდ, შრომის უსაფრთხოების სფეროში არსებული უფლებებისა და ვალდებულებების მინიჭება ხდება რაიონის გამგეობების საორგანიზაციო განყოფილებებისათვის. განყოფილების ფუნქციებს ემატება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გამგეობაში უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სფეროში კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.

**საკითხის წარმომდგენის** თქმით, მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების მიერ აღნიშნული ვალდებულების შესრულების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობებისთვის შრომითი უსაფრთხოების სპეციალისტების დამატება - სულ 10 (ათი))შტატი - თანამდებობრივი სარგო 1 200 (ათას ორასი) ლარის ოდენობით.

დასასრულს, **ბატონმა სერგომ** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ძალადაკარგულად აცხადებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №10-21 დადგენილებას.

აზრი გამოთქვა:

**კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა** ყურადღება გაამახვილა, წარმოდგენილ პროექტთან მიმართებაში არსებულ მთელ რიგ ტექნიკური ხასიათის ხარვეზებზე და მიზანშეწონილად მიიჩნია მათი შესწორება, რასაც დაეთანხმა საკითხის წარმომდგენი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილებების პროექტებს მხარი არ დაუჭირა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ დადგენილებათა პროექტს და

მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა - სერგო ბირკაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების ტიპური დებულებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, კანონში მოცემული რეგულაციების აღსრულების მიზნით, ცვლილება შედის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-20 დადგენილებაში, რომლის თანახმად, შრომის უსაფრთხოების სფეროში არსებული უფლებებისა და ვალდებულებების მინიჭება ხდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობისა და რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის რაიონის გამგეობის საორგანიზაციო განყოფილებისათვის. კერძოდ, განყოფილების ფუნქციებს ემატება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გამგეობაში უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სფეროში კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში უნდა ჩაემატოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტს მხარი არ დაუჭირა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა - სერგო ბირკაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-19 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული ოთხი დანართის ახალი რედაქციით ჩამოყალიბებას;

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების - მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ხელმძღვანელის თანამდებობრივი სარგო ნაცვლად - 2000 (ორი ათასი) ლარისა, განისაზღვროს 2800 (ორიათასრვაასი) ლარით. სამსახურის საშტატო ნუსხით განსაზღვრული მე-3 რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური 1 (ერთი) საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო - 2800 (ორი ათას რვაასი) ლარი) ინაცვლებს აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილებაში და თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება - 1500 (ერთიათასხუთასი) ლარის ოდენობით;
2. მუნიციპალური ინსპექციის სამშენებლო კონტროლისა და ექსპლუატაციის განყოფილებაში ემატება, მე-3 რანგის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 15 (თხუთმეტი) საშტატო ერთეული. (თანამდებობრივი სარგო - 1300 (ათას სამასი) ლარი - უცვლელად), აღნიშნული შტატის რაოდენობა, ნაცვლად 21 (ოცდაერთი) ერთეულისა გახდება - 36 (ოცდათექვსმეტი) ერთეული. აღნიშნული სამსახურის ისანი - სამგორის რაიონულ განყოფილებაში მე-4 რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის 2 (ორი) საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო - 1200 (ათასი ორასი) ლარი), იცვლება - მე-3 რანგის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 2 (ორი) საშტატო ერთეულით (თანამდებობრივი სარგო - 1300 (ათას სამასი) ლარის ოდენობით). (იზრდება რანგობრივი იერარქია და თანადებობრივი სარგო - 100 (ასი) ლარით).
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის სასამართლოსთან ურთიერთობის განყოფილების საშტატო რაოდენობა იზრდება მე-3 რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 (ერთი) საშტატო ერთეულით (თანამდებობრივი სარგო - 1500 (ათას ხუთასი) ლარი) და მე-3 რანგის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის - 1 (ერთი) საშტატო ერთეულით (თანამდებობრივი სარგო - 1300 (ათას სამასი) ლარი) , თანამდებობრივი სარგოების ოდენობების უცვლელად.
4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის შიდა აუდიტის განყოფილებას ემატება მე-3 რანგის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის - 1 (ერთი) საშტატო ერთეული, ხოლო, ამავე სამსახურის ინსპექტირების, შრომის უსაფრთხოების ორგანიზებისა და მართვის განყოფილებაში მე-3 რანგის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის - 1 (ერთი) საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო - 1300 (ათას სამასი), თანამდებობრივი სარგოების ოდენობების უცვლელად.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრი - ლილე ლიპარტელიანი დაინტერესდა მუნიციპალური ინსპექციაში გაზრდილი საშტატო ერთეულების თაობაზე.

სერგო ბირკაძემ განმარტა, რომ ბოლო დროს განხორციელდა უამრავი საკანონმდებლო ცვლილება, მათ შორის ტაქსების რეფორმა. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად მოხდა მუნიციპალური ინსპექციის უფლებამოსილების გაზრდა, რამაც განაპირობა საშტატო ერთეულების დამატების აუცილებლობა.

კომისიის თავმჯდომარის მოსაზრებით, მიზანშეწონილია გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი მერიის მუნიციპალური ინსპექციის საშტატო ნუსხაში.

ასევე, თავმჯდომარის თქმით, დანართი N2-ით წარმოდგენილ, მერიის მუნიციპალური ინსპექციის საშტატო ნუსხის სათაურის ნაწილში უნდა ჩაემატოს სიტყვები: „საშტატო ნუსხა“ და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტს მხარი არ დაუჭირა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით ძოძზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა - სერგო ბირკაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის #42-33 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, უქმდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური და ფუძნდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით. შესაბამისად, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

ბატონმა სერგომ განმარტა რომ აღნიშნული იურიდიული პირის ჩამოყალიბება ემსახურება თბილისის ურბანული განვითარების გაუმჯობესებას. მისივე თქმით, წარმოდგენილი ცვლილების შედეგად, მოხდება სერვისების დახვეწა და განვითარება, იურიდიულ პირს მიენიჭება მეტი უფლებამოსილება ახალი სერვისების დანერგვისა და ფინანსური რესურსის მოზიდვის კუთხით, რაც დადებითად აისახება დედაქალაქის ურბანული განვითარების პოლიტიკაზე.

საკითხის წარმომდგენმა დაამატა, რომ აღნიშნული საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების თარიღად განსაზღვრულია 1-ლი მარტი და შესაბამისად დადგენილებაც ძალადაკარგულად გამოცხადდება 1-ლი მარტიდან.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში სასურველია მიეთითოს საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი პუნქტი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტს მხარი არ დაუჭირა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა - სერგო ბირკაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-14 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, უქმდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური და ფუძნდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით. წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დებულების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

ბატონი სერგოს თქმით, წარმოდგენილი ცვლილების შემდგომ, აღნიშნულ იურიდიულ პირს გაუჩნდება მეტი პოტენციალი, ახალი სერვისების დანერგვისთვის, მომსახურების გაუმჯობესებისათვის და დედაქალაქის სატრანსპორტო პოლიტიკის განვითარებისთვის, რაც ასევე დაკავშირებულია ურბანულ და ეკონომიკურ განვითარებასთან.

საკითხის წარმომდგენმა ასევე აღნიშნა, რომ მსგავსად ურბანულ საქალაქო სამსახურთან დაკავშირებული ცვლილებისა, აღნიშნული საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების თარიღად განსაზღვრულია 1-ლი მარტი და შესაბამისად დადგენილებაც ძალადაკარგულად გამოცხადდება 1-ლი მარტიდან.

აზრი გამოთქვეს:

**ლილე ლიპარტელიანმა** განაცხადა, რომ ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის გაუქმებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების შემდგომ, ანგარიშვალდებულება საკრებულოს წინაშე იურიდიულ პირს აღარ ექნება და შესაბამისად კონტროლის საშუალება იკარგება. ქალბატონი ლილე დაინტერესდა, რატომ ირღვევა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ პრინციპები კონტროლისა და ანგარიშვალდებულებების შესახებ.

**სერგო ბირკაძემ** განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილების განხორციელება შესაძლებელია, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, იგი ემსახურება სერვისების გაუმჯობესებასა და სატრანსპორტო პოლიტიკის უკეთესად განხორციელებას და არანაირად ორგანული კანონით განსაზღვრულ პრინციპებს არ ეწინააღმდეგება.

**კომისიის თავმჯდომარის** განმარტებით, ცვლილებები ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო რაც შეეხება ანგარიშვალდებულებას წარმომადგენლობითი ორგანოს მიმართ, ბატონი ლევანის თქმით, ურბანული მიმართულებით საკრებულოსი, როგორც მაკონტროლებელი ორგანოსი ჩართულობა/მონაწილეობა კვლავ რჩება, ვინაიდან, ურბანული კუთხით მიღებული ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები როგორიცაა, ზონის ცვლილებები თბილისის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილებები, გეგმარებითი დავალებები, განაშენიანების რეგულირების გეგმები და ა.შ მიიღება საკრებულოსთან შეთანხმებით.

**ბატონმა ლევანმა** ასევე განმარტა, რომ ანგარიშვალდებულების ნაწილში, ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი საკითხთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში მოწვეულ იქნას მერის კურატორი მოადგილე და მიიღებულ იქნას ამომწურავი პასუხი, რისი მზაობაც მუდმივად არის.

**ლევან ჟორჟოლიანის** თქმით, დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში სასურველია მიეთითოს საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი პუნქტი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტს მხარი არ დაუჭირა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა - სერგო ბირკაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ურბანული განვითარების სამსახურის დაფუძნებას და სამსახურის დებულების დამტკიცებას, მთავრობის N20.93.112 განკარგულების დანართების შესაბამისად.

საკითხის წარმომდგენის თქმით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ურბანული განვითარების სამსახური წარმოადგენს მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფლებამონაცვლეს. სამსახურის ძირითადი ამოცანა და ფუნქციებია, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი ურბანული განვითარების მუნიციპალური პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება და გატარება, შესაბამისი კვლევითი და ანალიტიკური საქმიანობის წარმოება, თბილისის ადმინისტრაციული საზღვრებით დადგენილ ტერიტორიაზე მიმდინარე ქალაქთმშენებლობითი პროცესების მართვა და ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის მომზადება. სამსახური დაინტერესებულ პირებს შესთავაზებს ეფექტურ, მოქნილ და სრულყოფილი მომსახურებას, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით.

საკითხის მომხსენებლის თქმით აღნიშნული იურიდიული პირი დაფუძნებულად ჩაითვლება პირველი მარტიდან.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, დადგენილების პროექტის პირველ და მესამე მუხლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის დასახელება უნდა მიეთითოს შემდეგი ფორმით:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახური".

- ✓ ამასთან, პროექტის მე-2 მუხლის შესაბამისად, დასამტკიცებელი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის დებულების" პირველ მუხლში, ცალკე პუნქტად უნდა მიეთითოს სამსახურის სრული დასახელება.
- ✓ ტექნიკური ხასიათის ხარვეზი უნდა გასწორდეს დებულების მე-3 და მე-5 მუხლების ნუმერაციაში.
- ✓ გარდა ამისა, სასურველია პროექტის მე-2 მუხლის შესაბამისად, დასამტკიცებელი დებულების" მე-7 მუხლის მეორე პუნქტს, სამსახურის სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალს, „ვ" ქვეპუნქტად დაემატოს „ადმინისტრაციული განყოფილება", რომლის შემადგენლობაში შევლენ, მე-7 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებში მითითებულ პირები. შესაბამისად, მე-7 მუხლის წარმოდგენილი რედაქციიდან, ასევე ამოღებულ უნდა იქნეს მე-3 და მე-4 პუნქტები.

✓ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია მიიჩნევს, რომ დებულების მე-7 მუხლში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, უნდა შეიცვალოს მე-8 მუხლის სათაური და სტრუქტურა. მე-8 მუხლის სათაური სასურველია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„8. სტრუქტურული ერთეულების - განყოფილებების უფლებამოსილებები".**

✓ მე-8 მუხლის მე 6 პუნქტად კი სასურველია გაიწეროს ადმინისტრაციული განყოფილების უფლებამოსილებები.

დადგენილების პროექტის წარმომდგენმა გაიზიარა და დაეთანხმა კომისიის თავმჯდომარის მიერ გაჟღერებულ შენიშვნებს.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტს მხარი არ დაუჭირა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა - **სერგო ზირკაძემ,** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

**მომხსენებლის** განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს** დაფუძნებას და სამსახურის დებულების დამტკიცებას.

**როგორც საკითხის წარმომდგენმა** განმარტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტო წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფლებამონაცვლეს. სააგენტო სტრუქტურულად დაყოფილია და შედგება 15 სამსახურისგან. ამასთან, სააგენტოს მიზანია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში სატრანსპორტო პოლიტიკის განხორციელებაში მონაწილეობის მიღება, შესაბამისი კვლევითი და ანალიტიკური საქმიანობის წარმოება და

თბილისის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის პროცესების მართვა.

საკითხის მომხსენებლის თქმით აღნიშნული იურიდიული პირი დაფუძნებულად ჩაითვლება პირველი მარტიდან.

აზრი გამოთქვა:

**კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის** თქმით, დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებიდან ამოღებულ უნდა იქნას „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი. ასევე, დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძველში უნდა მიეთითოს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი სრულად და არა მისი რომელიმე მუხლი.

თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ წარმოდგენილი დებულების მე-7 მუხლით გათვალისწინებული სააგენტოს სტრუქტურა შეიცვალოს და მოხდეს რამდენიმე სამსახურის გაერთიანება. შესაბამისად, წარმოდგენილი დადგენილებით დასამტკიცებელი დებულების მე-7 მუხლი უნდა უნა ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცვლილება უნად შევიდეს დებულების მე-8 მუხლშიც.

დადგენილების პროექტის წარმომდგენმა გაიზიარა და დაეთანხმა კომისიის თავმჯდომარის მიერ გაჟღერებულ შენიშვნებს.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტს მხარი არ დაუჭირა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა - **სერგო ბირკაძემ,** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის **N19-58** დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტები.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტებით ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N19-58 დადგენილებით დამტკიცებულ მერიის დებულებაში, კერძოდ, დებულებიდან ხდება მე-3 მუხლის „გ.ხ“ და „გ.რ“ ქვეპუნქტების ამოღება.

ბატონი სერგოს თქმით, ვინაიდან უქმდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ცენტრალური ორგანოების სტრუქტურების ჩამონათვალიდან უნდა მოხდეს თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურისა და თბილისის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ამოღება.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში სასურველია მიეთითოს საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი პუნქტი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტს მხარი არ დაუჭირა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა - სერგო ბირკაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის მიერ სამშენებლო საქმიანობის განხორციელებისას სამშენებლო დოკუმენტაციის წარმოებისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, წარმოდგენილი პროექტით ხდება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის მიერ მშენებლობის ნებართვითა და განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ნებართვებით განსაზღვრული საქმიანობების განხორციელებისას, სამშენებლო დოკუმენტაციის წარმოებისა და შეთანხმების წესის დამტკიცება და ამჟამად მოქმედ, ქალაქ თბილისის საკრებულოს N16-36 დადგენილებასთან შედარებით, შემდეგი სახის ცვლილებების განხორციელება:

- სამშენებლო საქმიანობის განმახორციელებელ სუბიექტად, ნაცვლად - „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი“-სა, განისაზღვრა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირი;
- წესში გამოყენებული ტერმინები განისაზღვრება არა - „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009

წლის 24 მარტის №57 დადგენილების შესაბამისად, არამედ, „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების შესაბამისად;

- წესის მე-3 მუხლით განსაზღვრული მშენებლობის სახეებიდან ამოღებულ იქნა: „დროებითი შენობა-ნაგებობების მონტაჟი/განთავსება".
- პროექტით წარმოდგენილი წესის მე-10 მუხლის „დ" ქვეპუნქტად, საქმიანობის ერთ-ერთ ისეთ სახედ, რომელსაც არ სჭირდება სამშენებლო დოკუმენტაციის შეთანხმება, ასევე განისაზღვრა, შემდეგი: „დემონტაჟი (არსებული შენობა-ნაგებობის დაშლა/დანგრევა)" განისაზღვრა სამშენებლო;
- განსაკუთრებული ან/და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ან/და ქვეყნისათვის სოციალური ან/და ეკონომიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობა შესაძლებელია განხორციელდეს სამშენებლო დოკუმენტაციის გარეშე. აღნიშნული ასევე ვრცელდება მშენებლობაზე, რომელიც უნდა შესრულდეს, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტის საფუძველზე, განხორციელებული შესყიდვის ფარგლებში.

ბატონი სერგოს თქმით, წარმოდგენილი წესის შესაბამისად, სამშენებლო საქმიანობის ობიექტს წარმოადგენს მიწის ნაკვეთი ან/და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (მათ შორის, დამხმარე და დროებითი შენობა-ნაგებობები). სამშენებლო დოკუმენტაციის შეთანხმებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური. რაც შეეხება სამშენებლო დოკუმენტაციის შეთანხმებას, წესის მიზნებისათვის აღნიშნულ დოკუმენტაციას წარმოადგენს განმარტებითი ბარათი და ობიექტის ესკიზური პროექტი ან/და კონსტრუქციული/ტექნოლოგიური სქემა.

ბატონმა სერგომ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი წესის დამტკიცება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაევალა, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის ამოქმედებიდან 30 დღის ვადაში.

საკითხის წარმომდგენის განმარტებით, დადგენილების მიღება გამოიწვევს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის N16-36 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარემ, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიმართ გამოთქვა შემდეგი შენიშვნები:

- მიზანშეწონილია, წარმოდგენილი დასაბუთების ნაწილში მითითებულ იქნას ასევე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.
- დადგენილების პროექტის სამართლებრივი საფუძვლების შემდგომ მითითებული პუნქტები, განისაზღვროს მუხლების სახით და ჩამოყალიბდეს შესაბამისი თანმიმდევრობით;
- წესის მე-2 მუხლი შეიცვალოს, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების სათაურში „შენობა-ნაგებობის“ მითითების ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორებისა და აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული დანართის გათვალისწინების მიზნით. შესაბამისად, აღნიშნული პუნქტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტს მხარი არ დაუჭირა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - ვასილ აბულაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით და $125^2$ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N16-53 დადგენილებით განსაზღვრულია, რომ შპს „სი-ტიპარკის“ მიერ ამ დადგენილების ამოქმედებამდე შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ჯარიმის ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების აღსრულება უნდა უზრუნველყოს შპს „სი-ტიპარკმა“ ამ დადგენილების ამოქმედებამდე დადგენილი წესის შესაბამისად.

საკითხის წარმომდგენის თქმით, წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, ცვლილება შედის ზემოაღნიშნული დადგენილების მე-4 მუხლში და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ ევალება შპს „სი-ტი პარკის“ მიერ ამ დადგენილების ამოქმედებამდე შედგენილ ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებულ ადმინისტრაციულ სახდელთან (ჯარიმასთან) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილებასთან დაკავშირებით ყველა საჭირო ქმედების განხორციელება მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის თქმით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში უნდა ჩაემატოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი. ამასთან, პროექტის სამართლებრივი საფუძვლებიდან ამოღებულ უნდა იქნას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 242-ე მუხლი მე-4 და მე-5 ნაწილები.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავის შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - ჯუმბერ ყანდარელმა, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტით ცვლილება შედის ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №39-18 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილში“, კერძოდ, 72-ე მუხლის მე-3 პუნქტს ემატება „ნ“ ქვეპუნქტი. აღნიშნული პუნქტის თანახმად, დადგენილების დანართი 1.11-ით (შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკა) განსაზღვრული ტერიტორიებზე დროებითი შეზღუდვის პერიოდში დასაშვები ხდება სახელმწიფო და მუნიციპალური მომსახურების გამწევი ობიექტების განთავსების/ მშენებლობის მიზნით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანა, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო და თვითმმართველი ორგანოების/ სერვისების სრულყოფილ ფუნქციონირებას.

ამასთან, მომხსენებლის თქმით, ტექნიკური ხასიათის ცვლილება შედის ზემოაღნიშნულ დანართში, რომლითაც ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონაში იმ ტერიტორიების, რომლებიც შესაძლოა არ ან/და აღარ ატარებდეს ისტორიულ ან ლანდშაფტურ ღირებულებებს, განვითარება დასაშვები ხდება იმ მიწის ნაკვეთებისთვის, რომლებზეც დამუშავებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა, ასევე იმ მიწის ნაკვეთებზე სადაც, შეზღუდვის ამოქმედებამდე გაცემულია მშენებლობის ნებართვა.

აზრი გამოთქვეს:

ლილე ლიპარტელიანი დაინტერესდა, კონკრეტულ შემთხვევაში რა მიზანს ემსახურება წარმოდგენილი ცვლილება.

**საკითხის წარმომდგენმა** განმარტა, რომ ცვლილების შედეგად, შესაძლებელი ხდება ზონის ცვლილების განხორციელება სახელმწიფო და მუნიციპალური მომსახურების გამწევი ობიექტების განთავსების/ მშენებლობისათვის, მათ შორის „თბილსერვის ჯგუფის" ობიექტების განთავსების მიზნით.

**ლევან ჟორჟოლიანის** თქმით, დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში კონკრეტულად უნდა მიეთითოს „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავის შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - ირაკლი თავართქილაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „2016 წლის 13 მაისს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-308-26-19647 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით რიგი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლის** განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის თანახმად ცვლილება შედის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თაბორი რიზორთსს" შორის 2016 წლის 13 მაისს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე 308-26-19647 ხელშეკრულებაში, რომლის მიხედვით, ხელშეკრულებით განსაზღვრული არანაკლებ 80

ნომრიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობის ვადა, ნაცვლად, 2020 წლის 2 მარტისა, განისაზღვრება, 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

როგორც ბატონმა ირაკლიმ განმარტა, უმაღლესი დონის სასტუმრო კომპლექსის მოწყობა-განვითარებისთვის განსაზღვრული ვადის ზრდა განპირობებულია იმ მიზეზით, რომ სასტუმროს დაემატა ისეთი სივრცეები, როგორიცაა საპრეზიდენტო ნომერი, რესტორანი, სპა ცენტრი, გასართობი სივრცე, ამასთან, სასტუმრო კომპლექსი სრულყოფის მიზნით, მიმდინარეობს 171 ავტოსადგომის მოწყობა და სასტუმროს 177 ნომრით აღჭურვა, რაც თავის მხრივ გაზრდილი საინვესტიციო რესურსის გამოყენებას მოიაზრებს.

საკითხის წარმომდგენმა ასევე აღნიშნა, რომ საპრივატიზებო ღირებულება მყიდველის მიერ გადახდილია სრულად ვადის დაცვით. ამასთან, სრულად არის შესრულებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული კეთილმოწყობის ვალდებულებებიც. დღეისათვის ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებების შესრულების მიზნით განხორციელებულია 14.4 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია და სამომავლოდ იგეგმება დამატებით რამდენიმე ათეული მილიონი აშშ დოლარის თანხების ინვესტირება.

დასასრულს, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ზემომითითებული გარემოებიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ შესაძლებლად მიიჩნია, განკარგულების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2016 წლის 13 მაისს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-308-26-19647 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის ცვლილების თაობაზე"

გარდა ამისა, მიზანშეწონილია, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი განკარგულების პროექტის მე-2 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - ირაკლი თავართქილაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ (ს/კ 202886788) მიერ მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მიერ შპს „თბილლაინისთვის“, შპს „კაპიტალ გრუპისთვის“, შპს „თბილ ქარისთვის“ და შპს „ფაბლიქ ქარისთვის“ არაუმეტეს 300 (სამასი) ერთეული M2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალების პირდაპირი განკარგვის ფორმით, 1 (ერთი) ლარად, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის მოწონებას.

როგორც ბატონმა ირაკლიმ აღნიშნა, 2031 წლის 1 მარტამდე, ქალაქ თბილისში მიკროავტობუსების ქსელის ოპერირებას ზემოაღნიშნული ოთხი კომპანია ახორციელებს. მისივე თქმით, წარმოდგენილი განკარგულების შესაბამისად, „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ 300 ერთეულ M2 კატეგორიის მიკროავტობუსს შეისყიდის, რომელსაც მუნიციპალიტეტი აღნიშნულ ოთხ კომპანიას სარგებლობის უფლებით გადასცემს.

საკითხის წარმომდგენის თქმით, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას გამოყენებული მიკროავტობუსების გაუმჯობესებისა და მგზავრთა გადაყვანისას კომფორტის გაზრდის მიზნით, აუცილებელია მიკროავტობუსების პარკის ეტაპობრივი ჩანაცვლება. ვინაიდან დღეის მდგომარეობით, ოპერატორების შემოსავლის ძირითადი წყაროა მგზავრთა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული გადაყვანის შედეგად მიღებული ტარიფი, ეროვნული ვალუტის კურსის გაუფასურებისა და საწვავის ფასის ზრდის ფონზე, ოპერატორები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას შეისყიდოს ახალი მიკროავტობუსები. ამასთან, არსებობს აუდიტორული კომპანიის დასკვნა, იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ეტაპზე ოპერატორების შემოსავლები არაადეკვატურია მათ მიერ გაწეულ ხარჯებთან მიმართებით. შესაბამისად, დღეის მდგომარეობით, თითოეული ოპერატორი მოკლებულია შესაძლებლობას შეისყიდოს ახალი მიკროავტობუსები. შესაბამისად, მიკროავტობუსების ჩანაცვლების გადაუდებელი საჭიროებისა და ოპერატორების რთული ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, 2019 წლის 13 დეკემბერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და ოპერატორებს შორის დაიდო ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიზანია მხარეთა თანამშრომლობა იმ მიზნით, რომ განხორციელდეს მიკროავტობუსების პარკის სრულად ჩანაცვლება.

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ მომდევნო წლების განმავლობაში თუ თითოეულ კომპანიას გაუჩნდება ფინანსური პარამეტრების გაუმჯობესების მნიშვნელოვანი პოტენციალი, მომავალში ზემოაღნიშნული კომპანიები თავად უზრუნველყოფენ დარჩენილი მიკროავტობუსების პარკის ეტაპობრივ ჩანაცვლებას და მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილი მიკროავტობუსების სრულად გამოსყიდვას. ამასთან, ეს ოპერატორები გამოთქვამენ მზადყოფნას ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული მიკროავტობუსები გამოიყენონ სრულად, მიკროავტობუსების პარკის ნაწილობრივი განახლებისა და ასევე, ზოგიერთ სამარშრუტო ხაზზე არსებული დეფიციტის შევსების მიზნით.

დასასრულს, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა განმარტა, რომ საკითხის გადაწყვეტის შემთხვევაში მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს დაევალება 300 (სამასი-მდე) მიკროავტობუსის შესასყიდად შესაბამისი ფინანსური სახსრების გამოყოფა და სახელმწიფო შესყიდვის გამოცხადება და განხორციელება. ამასთან, თანხმობის გაცემიდან არაუგვიანეს 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის ვადაში, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია" უზრუნველყოფს შესაბამისი იჯარის ხელშეკრულების დადებას ზემოაღნიშნულ იურიდიულ პირებთან, მთავრობის 2020 წლის 22 იანვრის №20.68.99 განკარგულების დანართით წარმოდგენილი იჯარის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" (ს/კ 202886788) მიერ მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის მოწონების თაობაზე"

- ✓ ამასთან, განკარგულების პროექტის პრეამბულაში სამართლებრივ საფუძვლად ასევე უნდა მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
- ✓ ასევე, სასურველია მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი.
- ✓ აგრეთვე, განკარგულების პრეამბულაში ტექნიკურად გამართული ფორმით მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 22 იანვრის N20.68.99 განკარგულება.

გარდა ამისა, კომისიის თავმჯდომარის თქმით, მიზანშეწონილია განკარგულების პროექტის პრეამბულიდან ამოღებულ იქნეს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 106[1] მუხლის მე-5 და მე-8 პუნქტები.

აგრეთვე, კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.მოწონებულ იქნეს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" (ს/კ 202886788) მიერ შპს „თბილლაინისთვის" (ს/კ:404392260), შპს „კაპიტალ გრუპისთვის" (ს/კ: 202353194), შპს „თბილ ქარისთვის" (ს/კ: 404393241) და შპს „ფაბლიქ ქარისთვის" არაუმეტეს 300 (სამასი) ერთეული $M_2$ კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალების პირდაპირი განკარგვის ფორმით, 1 (ერთი) ლარად, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხი, ამ განკარგულების დანართით წარმოდგენილი იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად."

ასევე, განკარგულების პროექტის მე-2 პუნქტში სასურველია მიეთითოს, რომ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ მის გაცნობასთან ერთად, მოხდება განკარგულების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

კომისიას თამჯდომარემ განკარგულების პროექტით წარმოდგენილი იჯარის ხელშეკრულების მიმართ გამოთქვა შემდეგი სახის ტექნიკური ხასიათის შენიშვნები:

- ✓ წარმოდგენილ იჯარის ხელშეკრულების ტექსტში მიკროავტობუსების ოდენობად რიგ შემთხვევებში მითითებულია - არაუმეტეს 300 ცალი მიკროავტობუსი, რიგ შემთხვევებში -დაახლოებით 300 ცალი მიკროავტობუსი. შესაბამისად ტექნიკურად გაიმართოს ხელშეკრულების ტექსტი და გასწორდეს აღნიშნული შეუსაბამობა.
- ✓ ამასთან, ტექნიკურად გაიმართოს იჯარის ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.6 პუნქტი და პუნქტის ბოლო წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,კომპანია ვალდებულია დაზღვევის ხელშეკრულების პირობების თაობაზე აცნობოს მოიჯარეებს მისი დადებისთანავე, ხოლო მოიჯარეები ვალდებულნი არიან თითოეული სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში აცნობონ კომპანიას."

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - ირაკლი თავართქილაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირი №42-ის მიმდებარედ არსებული 3 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.15.05.008.037) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „უორვიკშირ ესთეითის საქართველოს წარმომადგენლობისთვის" (ს/ნ:204535654) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირი № 42-ის მიმდებარედ არსებული 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით შპს „უორვიკშირ ესთეითის საქართველოს

წარმომადგენლობისთვის“ სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემას, მსუბუქი კონსტრუქციის მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება **5 (ხუთი) წლით.**
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება - **900 (ცხრაასი) ლარი.**

**ირაკლი თავართქილაძის** თქმით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით განკარგვის საკითხს, მიეცა დადებითი შეფასება.

დასასრულს, **გია გვენეტაძემ** განმარტა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული იურიდიული პირის საკუთრებაშია, ქალაქ თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირი № 42-ში მდებარე უძრავი ქონება.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - **ლევან ჟორჟოლიანის** მოსაზრებით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის **სათაური გამართულ იქნეს ტექნიკური თვალსაზრისით.** ამასთან, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში სწორი ფორმით უნდა მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის **2019 წლის 25 დეკემბრის № 19.1400.1726 განკარგულების სათაური.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი

სხდომის მდივანი ნინო ჯალაღანია